

ტრანსფიქსი, თემის კატეგორია, გვარი და
დერივაცია სალიტერატურო არაბულის
მორფოლოგიაში
TRANSFIX, FORM CATEGORY, MOOD AND DERIVATION IN
MORPHOLOGY OF LITERARY ARABIC

მაია ანდრონიკაშვილი
Maia Andronikashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ძირი, ტრანსფიქსი, დამხმარე მორფი, ძირეული
მორფი, აგლუტინაცია, გრამემის რეპრეზენტანტი, ფლექსიურ-
ფუზიური წარმოება, თემის კატეგორია.

Keywords: Root, Transfix, Auxiliary Morph, Root Morph, Agglutination,
Grammeme Representant, Flexional-fusional Formation, Form Category

N. Fink-ისათვის არაბული ძირის ფლექსიური (wurzelflektierend) ტიპის ენაა. ალ. ლეკიაშვილისთვის არაბული ძირი „ვერ იგუებს აფიქსს“. მართლაც, არაბული თანხმოვნური შემადგენლობის ძირი ვერასოდეს დაირთავს სუფიქსს, პრეფიქსს, ინფიქსს და ცირკუმფიქსს, თუ არა ტრანსფიქსთან ერთად, თუ ე. წ. შინაგან ვოკალიზმს ანუ შინაგან ფლექსიას განვიხილავთ როგორც ტრანსფიქსს (ასეა მიღებულია სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ლინგვისტიკაში). თანხმოვნური შემადგენლობის ძირში ჩართული (გამხლეჩი) ერთი ან მეტი ვოკალი ძირითადად წარმოადგენს დამხმარე მორფს, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც – ტრანსფიქსი ზოგჯერ თანხმოვნებისგან შემდგარ ძირთან ერთად ქმნის ახალ ძირეულ მორფს, ანუ ფუძეს ან ყალიბს (მოდელს); მაგალითად: rağul: riğl, šağar: šağr და სხვ. ჩანს, ძირეული მორფის სტრუქტურაში ხმოვანიც მონაწილეობს. ფლექსიურ, დამხმარე მორფებს ტრანსფიქსი წარმოადგენს შემდეგ შემთხვევებში: I თ. qatala: III თ. qātaḷa, muqaddim: muqaddam (აქტივისა და პასივის მიმღებობები), მხ. kitāb: მრ. kutub და სხვ. ხშირად ტრანსფიქსი გრამემას გამოხატავს პრეფიქსთან ერთად, მაგ.: kataba: 'aktaba, ან პრეფიქსთან და სუფიქსთან ერთად. მაგ.: šadīq: 'asdiqā, ტრანსფიქსი (შინაგანი ვოკალიზმი) ვლინდება მარცვლის შექმნის (წარმოთქმის გაადვილების) ფუნქციითაც, ხოლო ზოგიერთ ზმნიზებაში, წინდებულსა და კავშირში, შესაძლოა, ცარიელ მორფად იქნეს კვალიფიცირებული.

თუ არაბული მორფოლოგიისათვის ტრანსფიქსის ცნებას მისაღებად ჩავთვლით, მაშინ აგლუტინაციური წარმოების წილი და ალ. ლეკიაშვილისეული შეფარდება 8:4 არსებითად შეიცვლება აგლუტინაციის სასარგებლოდ. ამასთან, აგლუტინაციური წარმოების ტიპი არაბულში საკმაოდ თავისებურია – ერთი გრამემის რეპრეზენტანტი შეიძლება იყოს პრეფიქსი, ტრანსფიქსი და სუფიქსი, სხვა ფორმაში – პრეფიქსი და ტრანსფიქსი (გვარის რეპრეზენტანტები). მეორე პრეფიქსი თემის რეპრეზენტანტია, პირველი კი სუფიქსთან ერთად – იმპერფექტივის რეპრეზენტანტი. სუფიქსი ერთდროულად თხრობითი კილოს, პირის, რიცხვისა და დროის რეპრეზენტანტია, მაგ.: saja-staqbil-ūna. გვაქვს აფიქსთა მარტივი პოლისემია

(-at) და რთული შემადგენლობის მორფები, რომელთა სეგმენტები სხვადასხვა გრამემების რეპრეზენტანტებია (-ūna სახელებსა და ზმნებში და სხვ.). ყოველივე ზემოთ აღნიშნული და, ამასთან, ფუზია ე. წ. სუსტ ძირებთან საშუალებას გვაძლევს არაბული მორფოლოგიის სტრუქტურაში ვალიაროთ როგორც აგლუტინაციური, ასევე ფუზიურ-ფლექსიური წარმოების დიდი წილი.

თემათა ფორმებში გაერთიანებულია გვარის ცენტრალური ოპოზიცია (აქტივ:პასივი) და პერიფერიული ფორმები: კაუზატივი, რეფლექსივი, კონატივი, რეციპროკი, თანამოქმედების გამოხატვა და სხვ. ჩანს, რომ ე. წ. თემათა ფორმების ერთი ნაწილი ყოველთვის არ წარმოადგენს მორფოლოგიური კატეგორიის სისტემურ წევრებს, არამედ შედის წმინდა სიტყვანარმოებით (დერივაციულ) გაერთიანებაში არაგვაროვნული ნიუანსების გამოხატვის უნარის საფუძველზე. ასეთებია ნასახელარი და სინტაგმების შინაარსის გამომხატველი ზმნები (I, IV თემები და სხვ.), თხოვნის გამოხატვა (X თემა), მდგომარეობის სიმულაციის გამოხატვა (VI თემა), დეკლარატივი (IV, X თემები) და სხვ. აღნიშნული სიტუაცია მიუთითებს იმაზე, რომ თემათა ფორმებისათვის არ შეიძლება ერთადერთი, მხოლოდ გრამატიკული შინაარსის მიწერა.

ამასთან, გვარის კატეგორიის გადმოცემისასაც კი თემათა ცალკეული ფორმებისათვის უნდა გადაწყდეს დამოკიდებულება გვარის ძირითადი ოპოზიციის მიმართ, რადგან ტრანსფიქსული წარმოების პასივი არ გააჩნია ზემოჩამოთვლილ პერიფერიულ გვაროვნულ ფორმებს და აგრეთვე VII თემას, ასევე V, VIII და X თემების ზმნებს, თუ ისინი აქტიურ შინაარსს არ გადმოსცემენ და, შესაბამისად, არ აქვთ შექმნილი სათანადო დიათეზა.

ლიტერატურა:

- ალ. ლეკიაშვილი. არაბული ენა, თბილისი, 1977.
- N. Fink. Die Haupttypen des Sprachbaus, Stuttgart, 1961.
- Y. K. Petraček. Die innere Flexion in den semitischen Sprachen, AROR III, 1961.

According to N.Fink, Arabic is a language of the root-flexion (wurzelflektierend) type. In the opinion of Al. Lekiasvili, Arabic root “cannot put up with an affix”. In fact, the Arabic consonantal root can never add a suffix, prefix, infix and circumfix, unless it is with a transfix, if we consider the so-called internal vocalism or internal flexion as a transfix, as is accepted in structural-typological linguistics. One or more (splitting) vocals, included in a consonantal root, mainly represent an auxiliary morph, but there are exceptions – sometimes a transfix together with a consonantal root forms a new root morph, i.e. a stem or model, e.g. rağul: riğl, šağar: šağr, etc. Apparently, a vowel is also involved in the structure of a root morph. A transfix represents flexional, auxiliary morphs in the following cases: F I. qatala: F III qātala, muqaddim: muqaddam (Active and Passive participles), Sing. kitāb: Pl. kutub, etc. Often a transfix expresses a grammeme together with a prefix: kataba: ’aktaba, or together with a prefix and a suffix, e.g.: šadiq:’ašdiqā. Transfix (internal vocalism) is manifested with the function of creating a syllable (simplification of pronunciation), and in some adverbs, prepositions and conjunctions it may be qualified as an empty morpheme.

If we consider the concept of transfix acceptable for Arabic morphology, then the share of agglutinative formation and ratio 8:4 offered by Al. Lekiasvili will change essentially in favour of agglutination. In addition, the type of agglutinative formation in Arabic is quite peculiar – a representant of one grammeme may be a prefix, transfix and suffix, and in another form – a prefix and a transfix (Mood representants). The second prefix is a representant of Theme, and the first together with the suffix – a representant of Imperfective. The suffix at the same time is a representant of the Indicative Mood, Person, Number and Tense, e.g. saja-staqbil-ūna. We have simple polysemy of affixes (-at) and morphs of complex composition, segments of which are representants of various grammemes (-ūna in nouns and verbs, etc.). All the above-mentioned and, along with this, fusion with the so-called weak roots allows to recognize in the structure of Arabic morphology a large share of agglutinative as well as fusional-flexional formation.

The verb forms include the central opposition of Mood (Active:

Passive) and peripheral forms: Causative, Reflexive, Conative, Reciprocal, Coaction, etc. It seems that one part of the so-called verb forms does not always represent systemic members of the morphological category, but is included in the pure word-formation (derivational) union on the basis of the ability of expression of non-Mood nuances. Such are the denominative verbs and those expressing syntagmatic meaning (F I, IV, etc.), expression of request (F X), expression of state simulation (F VI), Declarative (F IV, X) and so on. This situation points to the fact that it is not possible to ascribe to the forms of these verb forms only one, grammatical meaning.

In addition, when rendering the category of Mood, for individual forms of verb forms the relation of Mood to the main opposition should be defined, as the above-mentioned peripheral Mood forms as well as F VII, and verbs of F VIII, V and X do not have the Passive of transfix formation, unless they express active meaning and accordingly form relevant diathesis.

References:

- Fink, N., (1961), *Die Haupttypen des Sprachbaus*, Stuttgart.
- Lekiasvili, Al., (1977). *Arabuli ena*, [The Arabic language], Tbilisi, 1977.
- Petraček, Y. K., (1961), *Die innere Flexion in den semitischen Sprachen*, AROR III.

აზერბაიჯანულს შუამავლობისათვის
სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში
ON AZERBAIJANI MEDIATION
IN PERSIAN-GEORGIAN LANGUAGE CONTACTS

ფატმან ანთადე-მალაშხია
Patman Antadze-Malashkhia

საბინა კაზიმოვი
Sabina Kazimovi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ენობრივი ურთიერთობები, სპარსული,
ქართული, აზერბაიჯანული, შუამავლობა
Keywords: Language Contacts, Persian, Georgian, Mediation